ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N49

2018 წლის 23 მარტი
ქ.ქობულეთი

შ.პ.ს. ,,PARK GIDA"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. ,,PARK GIDA"-ს განახორციელოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში, მე-5 უბანი, ქუჩა N46 ა-ში მდებარე - შ.პ.ს. ,,PARK GIDA"-ს სამრეწველო ობიექტზე (სპირტიანი სასმელების ქარხანა) წყალსადენის სისტემების მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად;

2. შ.პ.ს. ,,PARK GIDA"-მ უზრუნველყოს წყალსადენის სისტემების მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი